

ოჯახის მხარდაჭერის კოლიტივა
ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და
საქართველოში



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და საქართველოში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2024



წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია პროექტის, “კონფლიქტების ტრანსფორმაციის წახალისება განგრძობადი კონფლიქტის კონტექსტის კრიტიკული გადააზრებისა და ფემინისტური პერსპექტივების გაძლიერებით“ ფარგლებში, რომელსაც სოციალური სამართლიანობის ცენტრი საქართველოში ფონდ “კვინა ტილ კვინას“ (Kvinna Till Kvinna Foundation) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ფონდ “კვინა ტილ კვინას“ პოზიციას.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

ავტორი: მეკო ჩაჩავა

ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მეკო ჩაჩავა, “ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და საქართველოში“, 2024

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შინაარსი

1. შესავალი.....	4
2. ოჯახის ცნება	6
2.1 ოჯახის ცნება და მისი სამართლებრივი საფუძვლები ევროკავშირში.....	6
2.2 ოჯახის ცნება და მისი სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში	7
2.3 შინამეურნეობების ცნება და სოციალური სტატისტიკა.....	9
3. ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირში.....	11
4. ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო.....	14
4.1 ბავშვზე ზრუნვა და მხარდაჭერა - ესტონეთის და ლიეტუვას პოლიტიკა	14
4.2 ბავშვზე ზრუნვა და მხარდაჭერა - საქართველოს პოლიტიკა	17
4.3 სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსება - ესტონეთის და ლიეტუვას პოლიტიკა.....	21
4.4 სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსება - საქართველო.....	25
5. დასკვნა.....	30

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებმა დიდი ხნის წინ აღიარეს ოჯახი, როგორც საზოგადოების ფუნდამენტური ერთეული, რომლის დაცვა და მხარდაჭერა სახელმწიფოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებად განისაზღვრა. საგულისხმოა, რომ არ არსებობს ოჯახის კონცეფციის ზუსტი განსაზღვრება, რამდენადაც იგი დამოკიდებულია საზოგადოების ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ მახასიათებლებზე. ამასთან, ოჯახის ცნება და სტრუქტურა, საზოგადოების ცნობიერების შეცვლისა და განვითარების კვლადლადკვალ იცვლება. აღნიშნული ცვლილებები დროთა განმავლობაში აისახა ქორწინებისა და განქორწინების სტატისტიკაზე, სამოქალაქო ქორწინების გარეშე თანაცხოვრების და მარტოხელა მშობლების, თუ ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების/პარტნიორობის აღიარებასა და დაცვაზე. ამასთან, ქალები უფრო და უფრო აქტიურად ჩაერთნენ შრომის ბაზარზე, ახალგაზრდები კი, უფრო მეტ დროსა და რესურსს დებენ განათლებასა და კარიერაში, რაც შესაბამისად აისახება ოჯახის სტრუქტურასა და ქვეყნების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული ცვლილებების მიუხედავად, თანამედროვე საზოგადოებებში, მათ შორის საქართველოში, ოჯახი ინარჩუნებს ძლიერი სოციალური ინსტიტუტის ფუნქციას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნისა და ცალკეული შინამეურნეობების სოციო-ეკონომიკური შედეგების განსაზღვრაში. შესაბამისად, სოციალური დაცვის სისტემებში ოჯახების მხარდაჭერის პოლიტიკას, დღემდე მნიშვნელოვანი როლი აქვს. ოჯახების სტრუქტურული ცვლილებების ფონზე კი, გაიზარდა დისკუსიები ამ პროცესში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ინტეგრირების მნიშვნელობაზე, რამდენადაც, ნათელი გახდა, რომ გარდა ეკონომიკური და რეპროდუქციული ურთიერთობებისა, ოჯახის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი კომპონენტია მზრუნველობითი პასუხისმგებლობები.

აღნიშნული ცვლილებებისა და დისკუსიების გათვალისწინებით, ევროკავშირში 2017 წელს მიიღეს „სოციალური უფლებების ევროპული სვეტი“, რომელმაც სოციალური დაცვის სისტემაში ოჯახების მხარდაჭერის მანამდე დამკვიდრებული პოლიტიკისთვის შექმნა ახალი სამოქმედო ჩარჩო. ევროპული სვეტი მოიცავს 20 საკვანძო პრინციპს, რომელთაგან ორი პრინციპი პირდაპირ თუ ირიბად გულისხმობს ოჯახების მხარდაჭერას: (პრინციპი 11) ბავშვზე ზრუნვა და მხარდაჭერა, (პრინციპი 9) სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსება, რაც გულისხმობს ოჯახის მხარდაჭერას სათანადო შრომითი პირობების შექმნის გზით, რათა მშობლებმა და განსაკუთრებით დედეებმა, მოახერხონ სამუშაოსა და ოჯახის საქმეების შეთავსება და უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისათვის შესაბამისი დროის ოჯახისათვის გამოთავისუფლება.¹

საქართველომ 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით, აიღო ვალდებულება დაუახლოვდეს გაერთიანების კანონმდებლობას, პრინციპებს და პრაქტიკებს. 2023 წლის 14 დეკემბერს კი, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, რითიც თანამშრომლობის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის ევროპული ცხოვრების დონე და პირობები, ქვეყნის განვითარების საუკეთესო მოდელად მიიჩნევა. ეს განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით და ამას აჩვენებს, როგორც

¹ The European Pillar of Social Rights in 20 Principles. 2017. პრინციპი 9 და 11.

საზოგადოებრივი აზრის კვლევები², ისე მიმდინარე საჯარო დისკუსიები, თუ პროტესტები.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის საფუძველზე და მასთან მიმართებით, შეისწავლოს საქართველოში ბავშვიანი ოჯახების კეთილდღეობისთვის დანერგილი სისტემები და მექანიზმები. ანალიზის საფუძველზე, დოკუმენტი წარმოადგენს რეკომენდაციებს, რათა საქართველოში ოჯახებზე ზრუნვა გასცდეს პოლიტიკურ პოპულიზმს, შემუშავდეს მიზანზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმები.

წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება ვრცელ სამაგიდო კვლევას, რომლის ფარგლებში დამუშავდა ბავშვისა და ოჯახის სოციალური დაცვის სისტემის ირგვლივ გამოცემული ანგარიშები, კვლევითი და ანალიტიკური დოკუმენტები, სახელმწიფო უწყებების მიერ გამოქვეყნებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი ოფიციალური ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები. ევროკავშირში და საქართველოში ოჯახის კონცეფციის, მისი სამართლებრივი საფუძვლებისა და მხარდაჭერის პოლიტიკის მიმოხილვისას, დამუშავდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივები და ეროვნული კანონმდებლობა. ისტორიულ-პოლიტიკური, დემოგრაფიული და ეკონომიკური მახასიათებლების მსგავსების გათვალისწინებით, საქართველოსთან ერთად, დოკუმენტი მოკლედ მიმოხილავს ესტონეთისა და ლიეტუვას გამოცდილებას ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის მიმართულებით, რათა უკეთ იქნეს აღქმული ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების მიდგომები.

რამდენადაც, ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა მრავალგანზომილებიანია და კომპლექსურ მიდგომებს გულისხმობს, მიმოხილვისას დოკუმენტი ეყრდნობა სოციალური უფლებების ევროპული სვეტის ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს. შესაბამისად, დოკუმენტი არ მიმოხილავს სოციალური პოლიტიკის ყველა ასპექტს, სოციალური სერვისების მიმდებ ყველა ჯგუფს და სოციალური მხარდაჭერის სერვისის განხორციელების ტექნიკურ დეტალებს, რამდენადაც დოკუმენტის ძირითადი ინტერესი საკითხის ფართო პოლიტიკური კონტექსტია.

² NDI. 2023. საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები. ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_GGF%20poll_October_2023_Geo_VF.pdf

2. ოჯახის ცნება

2.1 ოჯახის ცნება და მისი სამართლებრივი საფუძვლები ევროკავშირში

ოჯახი უძველესი სოციალური ინსტიტუტია, რომელიც საზოგადოების სტრუქტურის ბუნებრივ და საბაზისო ელემენტად მიიჩნევა. ოჯახის მრავალი განსაზღვრება არსებობს, რომელიც, განსხვავდება საზოგადოების კონკრეტული ისტორიული, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გარემოებების მიხედვით. ოჯახის ცნებას **სამართლებრივი საფუძვლები**, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ და მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა კონვენციამ ჩაუყარა. ევროპული კონვენციის მე-8 და მე-12 მუხლები ხაზს უსვამს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობისა და ქორწინების უფლებას. კერძოდ, ევროპული სასამართლო აზუსტებს, რომ ოჯახი ფართო ცნებაა და ეხება ურთიერთობას როგორც მეუღლეებს, მშობლებსა და შვილებს შორის, ასევე მოიცავს, ურთიერთობას მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის, და-ძმას, ბებია-ბაბუასა და შვილიშვილს შორის.³ ამასთან, **ოჯახის ცნება მჭიდროდ დაუკავშირდა თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის პრინციპებს და მოიცვა არა მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობები არამედ სხვა de facto ოჯახური კავშირებიც.**⁴ ოჯახის ცნება ასევე გავრცელდა ქორწინების გარეთ დაბადებულ ბავშვებზე, ერთიდაიმავე სქესის მქონე პარტნიორებსა და მარტოხელა ოჯახებზე.⁵ დღეს, ევროპის ბევრ ქვეყანაში ოჯახების ამ არატრადიციულ ფორმებს იურიდიული აღიარება და დაცვა აქვთ. საგულისხმოა, რომ ევროპული კონვენცია ცოცხალი დოკუმენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ რომ მისი დებულებები უნდა განიმარტოს საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილებისა და განვითარების კვალდაკვალ. შესაბამისად, კონვენციაში გამოყენებული კონცეფციები, ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია ევროპული საზოგადოების დღევანდელი ცნობიერებისა და განვითარების გათვალისწინებით, და არა კონვენციის შემუშავების დროს არსებული რეალობის და საზოგადოებრივი პრაქტიკების მიხედვით.⁶

აღსანიშნავია, რომ **ევროკავშირში** ოჯახის კონცეფცია განსხვავდება კონკრეტული უფლებებისა და პასუხისმგებლობების მიხედვით და ძირითადად ეფუძნება ოჯახის წევრების ბიოლოგიურ და სამართლებრივ ასპექტებს, და ნაკლებად ითვალისწინებს სოციალურ-კულტურულ კავშირებს.⁷ ევროკავშირის წევრი ცალკეული სახელმწიფოების

³ (Olsson v. Sweden), 1988 წლის 24 მარტი, Series A no. 130, 81-ე პუნქტი; (Moustaquim v. Belgium), 1991 წლის 18 თებერვალი, Series A no. 193, 56-ე პუნქტი. (Marckx v. Belgium), 1979 წლის 13 ივნისი, Series A no. 31, 45-ე პუნქტი.

⁴ (Johnston and Others v. Ireland), 1986 წლის 18 დეკემბერი, Series A no. 112; (Marckx v. Belgium), 1979 წლის 13 ივნისი, Series A no. 31 და (X, Y and Z v. the United Kingdom), 1997 წლის 22 აპრილი, EHRR 1997-II.

⁵ 1986 წლის 18 დეკემბერი, Series A no. 112, 74-ე-76-ე პუნქტები.

X. and Others v. Austria), დიდი პალატა, № 19010/07, 2013 წლის 19 თებერვალი.

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2017). პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები. ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/adamianis-ufleбата-centri/piradi-da-ojaxuri-cxovrebis-pativiscemis-upleba-da-saxelmwipo-valdebulebebi.pdf>

⁷ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/38/EC. ხელმისაწვდომია: <http://data.europa.eu/eli/dir/2004/38/oj>

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის ივლისის რეგულაცია No604/2013. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2013/604/oj>

ეროვნულ კანონმდებლობებში, ოჯახის კონცეფციის განსაზღვრისას, გათვალისწინებულია ქვეყნის შიგნით არსებული სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები, რელიგია, წეს-ჩვეულებები, კულტურა და ტრადიციები.⁸ თუმცა, ამასთან დაცულია, თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, მათ შორის გენდერული თანასწორობა და ბავშვის საუკეთესო ინტერესი.⁹

2.2 ოჯახის ცნება და მისი სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში

ევროკავშირის ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც არ არსებობს ოჯახის ზუსტი და შეთანხმებული განმარტება. საზოგადოებაში და სახელმწიფოში, იგი ძირითადად ბირთვულ ჰეტერონორმატიულ მოდელს ეფუძნება, რომელიც ბიოლოგიურ რეპროდუქციასთან ასოცირდება. ოჯახისა და ოჯახის წევრების სამართლებრივი განმარტება განსხვავდება ცალკეული უფლებებისა და პასუხისმგებლობების მიხედვით. კერძოდ, ქონებისა და მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსი პირველი რიგის მემკვიდრეებად მიიჩნევს შვილებს, მეუღლეს და მშობლებს. საგულისხმოა, რომ ნაშვილები გათანაბრებულია მშვილებლის შვილებთან.¹⁰ სისხლის სამართლის კანონი და კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ, ოჯახის წევრების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს ადგენს და გარდა ნუკლეარული ოჯახის წევრებისა, ასევე მოიცავს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებსაც, მათ შვილებს, მშობლებს და და-ძმას. აგრეთვე, ყოფილ მეუღლეს, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს, პირებს, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.¹¹

ოჯახის ცნებას საქართველოში მუდმივად თან ახლავს პოლიტიკური შფოთვები და ხშირად, საარჩევნო კამპანიის ნაწილიც არის, როგორც ანტილიბერალური პოლიტიკის წამყვანი თემა. ტრადიციული პატრიარქალური ოჯახი, როგორც ერის გადარჩენის საფუძველი, ასევე ხშირად არის ხაზგასმული ეკლესიის მიერაც. უფრო მეტიც, 2014 წლიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ინიციატივით, 17 მაისს ქვეყანაში ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე აღინიშნება, რომელიც 2024 წლიდან სახელმწიფოს მიერ უქმე დღედ გამოცხადდა.¹² საგულისხმოა, რომ ეს თარიღი შემთხვევით არ არის შერჩეული. 17 მაისი ჰომოფობიასთან, ბიფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. 2013 წელს ამ დღის აღნიშვნა ლგბტქ+ აქტივისტებმა და მათმა მხადამჭერებმა თბილისში სცადეს, თუმცა ეკლესიის მიერ ორგანიზებული ადამიანები მათ თავს დაესხნენ და ამის საშუალება არ მისცეს. აღნიშნულ ძალადობას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის სექტემბრის დირექტივა 2003/86/EC.

ხელმისაწვდომია: [https://eur-](https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:251:0012:0018:en:PDF)

[lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:251:0012:0018:en:PDF](https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:251:0012:0018:en:PDF)

⁸ Human rights Committee, General comment No. 16, პარ. 5; CCPR/C/60/D/549/1993, Add.1, para. 10(3).

⁹ International Covenant on Civil and Political Rights, art. 23(4); the International Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, arts. 2, 5(b); the Convention on the Rights of the Child, art. 18(1).

¹⁰ საქართველოს კანონი სამოქალაქო კოდექსი. თავი მეორე. მემკვიდრეობა კანონით.

¹¹ საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი 4 (ზ).

¹² საქართველოს მთავრობის დადგენილება №167. 2024 წლის 15 მაისი

სასამართლომ „უპრეცედენტო“ უწოდა, სახელმწიფო უმოქმედობაში დაადანაშაულა და 193 500 ევროს გადახდა დააკისრა.¹³

საქართველოში ოჯახის სამართლებრივი კავშირი მხოლოდ ქორწინებას ეფუძნება და არ მოიცავს სამოქალაქო პარტნიორობის სხვა ფორმებს. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, განმარტებულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსში, არამედ 2016 წელს საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში ის დაზუსტდა კონსტიტუციაშიც.¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეტია ქორწინების სამართლებრივი აღიარების პროცესში და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებულ ცალკეულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ქორწინების სამართლებრივი მოწესრიგება სახელმწიფოს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია, კონსტიტუციაში მსგავსი ჩანაწერის გაჩენა, პოლიტიკურ არტეფაქტად იქნა შეფასებული, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ვენეციის კომისიის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ ქორწინების უფლების მარეგულირებელმა ნორმებმა არ უნდა დატოვოს ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილები სამართლებრივი დაცვისა და აღიარების გარეშე.¹⁵

საგულისხმოა, რომ იმ მოცემულობაში, როცა სამოქალაქო პარტნიორობის სხვა ფორმები და ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების კავშირის სამართლებრივი აღიარება, საქართველოში არასოდეს ყოფილა დღის წესრიგში, ოჯახის სიწმინდისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის კონტექსტში, ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური სპეკულირების საგანი, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. გამონაკლისი არც 2024 წლის არჩევნებია, საპარლამენტო უმრავლესობამ 2024 წლის 4 ივნისს დააინიცირა, უნგრული სტილის,¹⁶ 19 კანონისგან შემდგარი საკანონმდებლო პაკეტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რასაც წინ უძღოდა აქტიური საზოგადოებრივი განხილვები რეგიონებში. ინიცირებული ცვლილებები ბევრ ჰომოფობიურ და ცენზურის დამაწყესებელ ნორმასთან ერთად, ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების აკრძალვასაც მოიცავს, რაც მოქმედი კანონმდებლობით ისედაც დაუშვებელია.¹⁷ ვენეციის კომისიამ აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით 26 ივნისს მოსაზრება გამოაქვეყნა, სადაც მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას მთლიანად გადახედოს ამ საკანონმდებლო წინადადებას და არ გააგრძელოს მისი მიღება ან, თუ გააგრძელებს მის მიღებას, ამოიღოს/შეცვალოს ზოგიერთი მუხლი ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ლგბტქ+ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესამაბისობა. ამასთან, კომისია ახალი შესწორებების მიღებამდე დასაბუთებული ანალიზის ჩატარების რეკომენდაციას იძლევა - საზოგადოების ყველა სეგმენტის ჩართულობით, განსაკუთრებით სექსუალური და გენდერული უმცირესობების

¹³ WOMEN'S INITIATIVES SUPPORTING GROUP AND OTHERS v. GEORGIA) № 73204/13 და 74959/13, 2021 წლის 16 დეკემბერი.

¹⁴ საქართველოს კანონი სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1106.

საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 30.

¹⁵ CDL-AD(2017)013-e Georgia - Opinion on the draft revised Constitution.

¹⁶ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2024. LGBTQ+ პროპაგანდასთან ბრძოლა ბავშვთა დაცვის სახელით: საქართველო და უნგრეთი. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/lgbtq-propagandastan-brdzola-bavshvta-datsvis-sakhelit-sakartvelo-da-ungreti>

¹⁷ საქართველოს კონსტიტუციური კანონი ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359733>

წარმომადგენლების, ასევე შესაბამისი სექტორების ექსპერტებისა და პროფესიონალების მონაწილეობით.¹⁸

2.3 შინამეურნეობების ცნება და სოციალური სტატისტიკა

ოჯახის სტრუქტურის მუდმივი ცვალებადობისა და ცნების განსხვავებული განმარტებების ფონზე, **სოციალურ სტატისტიკაში** გაჩნდა საჭიროება ისეთი საყოფაცხოვრებო ერთობის იდენტიფიცირებისა, რომელიც გაიმეორებდა ოჯახის სტრუქტურას და შექმნიდა ოჯახში სტრუქტურული ცვლილებების დაკვირვების შესაძლებლობას. შესაბამისად, დამკვიდრდა *შინამეურნეობის* ცნება, რომლის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების ძირითადი **მეურნეობრივი საყოფაცხოვრებო ბირთვი** – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების, კვების საერთო წესებს და დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით) და ნათესაური ან არანათესაური ურთიერთობებით, ან ორივეთი ერთად. *შინამეურნეობა* ოჯახისგან განსხვავებით, შეიძლება შედგებოდეს ერთი ადამიანისგან, ასევე ერთი ან რამდენიმე ოჯახისაგან.¹⁹

2013-2022 წლებში **ევროკავშირში** შინამეურნეობების 7%-იანი ზრდა არის და 2023 წლის მონაცემებით, ჯამში 200 მილიონი შინამეურნეობაა. ყველაზე სწრაფი ზრდის ტემპი შეიმჩნევა მარტოხელა შინამეურნეობებში, ბავშვების გარეშე (21%). სტატისტიკა აჩვენებს, რომ მარტოხელა შინამეურნეობებს ძირითადად ქალები ხელმძღვანელობენ. 2023 წელს 25-54 წლის ასაკის ქალების 5.4% იყო მარტოხელა დედა, მაშინ როცა მამაკაცებში ეს მხოლოდ 0.9%ია. რაც შეეხება ბავშვების რაოდენობას, ყველაზე მაღალია ერთი ბავშვის ყოლის წილი (48.9%), 38.2% ყავს 2 ბავშვი, 12.9% კი სამი და მეტი ბავშვი. ერთი შვილის ყოლა ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მაღალი პროცენტითაა დაფიქსირებული, გარდა ირლანდიისა და ჰოლანდიისა, სადაც ძირითადად 2 შვილი ყავთ.²⁰

საქართველოში 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, მოსახლეობა 14,7% შემცირდა და 3 729 635 ადამიანი შეადგინა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებისა და დემოგრაფიული სიტუაციის პროგნოზის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკა და სტრატეგიები არ შეიცვალა, საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივა 2050 წლის პერიოდისათვის - 3 394 000 ადამიანს შეადგენს.¹

¹⁸ვენეციის კომისია. 2024. GEORGIA OPINION ON THE DRAFT CONSTITUTIONAL LAW ON PROTECTING FAMILY VALUES AND MINORS (CDL-AD(2024)021). ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)021-e)

¹⁹ გელაშვილი, ს. შონია, ზ. ქინქლაძე, რ. (2020). სოციალური სტატისტიკა. გვ.111-112.

²⁰EUROSTAT. Household composition statistics. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Household_composition_statistics#:~:text=Highlights&text=In%202022%2C%20198%20million%20households,members%20per%20household%20on%20average.&text=The%20number%20of%20single%2Dperson,30.7%20%25%20from%202009%20to%202022. (ბოლოს ნანახია: 31.07.2024).

სამწუხაროდ, საქართველოში შინამეურნეობებზე მონაცემების ძირითადი წყარო, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებია.

2014 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 17,5% ერთსულიანი შინამეურნეობაა. ეს რიცხვი მცირედით არის გაზრდილი 2002 წლიდან მოყოლებული (16.3%), თუმცა კვლავ დაბალია აღმოსავლეთ ევროპისა და, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

საქართველოში შინამეურნეობის საშუალო ზომა აღწერიდან-აღწერამდე მცირდება. კერძოდ, შინამეურნეობის საშუალო სიდიდე შემცირდა 3,9 კაციდან 1970 წელს 3,5 კაცამდე 2002 წელს²¹ და 3,3 კაცამდე 2014 წელს. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, შინამეურნეობების 33,8% არ ჰყავს ბავშვი, 24,9% მხოლოდ ერთი, 28,4% - ორი, ხოლო, 12,9 % სამი და მეტი.²²

საქართველოში ოჯახების სტრუქტურის შესახებ უახლესი მონაცემების სანახავად, შეიძლება ვნახოთ შობადობის მაჩვენებელი.

2023 წელს ჯამში 40 214 ბავშვი დაიბადა, საიდანაც 37,6% პირველი ბავშვი იყო, 33.6% მეორე ბავშვი, 19.5% კი მესამე. საგულისხმოა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში შობადობის საერთო მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა (34%). სტატისტიკა აჩვენებს, რომ საქართველოში ძირითადად 1 და 2 შვილიანი ოჯახები არიან. ამასთან, საინტერესოა, რომ შობადობის კუთხით ძირითადი ცვლილებები სწორედ ამ ოჯახებში შეინიშნება, მონაცემები სამი და მეტი ბავშვის ყოლის შესახებ კი, თითქმის უცვლელია.¹

რამდენადაც, საქართველოში ოჯახის სამართლებრივი დეფინიცია ქორწინებას ეფუძნება, საინტერესოა ამ კუთხით არსებული ცვლილებები.

ბოლო 10 წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვი (36%) და პარალელურად მკვეთრად გაიზარდა განქორწინების მაჩვენებელი (69%).¹ ბავშვების შობადობის მიმართულებით კი, ბოლო 10 წელში, მაშინ როდესაც მკვეთრად ეცემა რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების რაოდენობა (27%), არარეგისტრირებულ ქორწინებაში ეს რიცხვი წლიდან წლამდე თითქმის უცვლელია (4%).¹ აღნიშნული ცვლილებები აჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლება მოსახლეობის დამოკიდებულება ქორწინების ინსტიტუტთან დაკავშირებით და აუცილებელია, რომ სამართლებრივი რეგულირებაც საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლისა და განვითარების კვალდაკვალ რეფორმირდეს.

²¹ საქსტატი. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/media/44563/IV-tomi.pdf>

²² საქსტატი. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>

3. ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირში

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ინტერდისციპლინარული სფეროა, რომელიც შედგება სხვადასხვა სექტორიდან მიღებული ცოდნის, პრაქტიკისა და მიდგომებისგან და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების პარალელურად იცვლება. ევროკავშირის სოციალური დაცვის პოლიტიკის მიხედვით, ოჯახი და მშობლები ბავშვზე ზრუნვისა და მათი განვითარების მთავარი წყაროა, შესაბამისად ოჯახების მხარდაჭერას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა უფლებების დაცვაში.²³ 2017 წელს ევროკავშირში „სოციალური უფლებების ევროპული სვეტის“ მიღებით, სოციალური დაცვის სისტემაში ოჯახების მხარდაჭერის წლების განმავლობაში დამკვიდრებული პოლიტიკისთვის, შეიქმნა ახალი სამოქმედო ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩო მოიცავს 20 საკვანძო პრინციპს, რომლებიც ეყრდნობა ევროპული კონვენციის კონცეფციებსა და ევროპული სასამართლოს მიერ, ევროპული საზოგადოების დღევანდელი ცნობიერებისა და განვითარების გათვალისწინებით გაკეთებულ განმარტებებს. სვეტის ორი პრინციპი პირდაპირ თუ ირიბად გულისხმობს ბავშვების და ოჯახების მხარდაჭერას. კერძოდ, **პრინციპი 11** ხაზს უსვამს ადრეული განათლების, მაღალი ხარისხის ზრუნვის სერვისების და სიღარიბისაგან დაცვის მექანიზმების შექმნას, ასევე, განსაკუთრებით მოწყვლად სიტუაციაში მყოფი ბავშვებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის აუცილებლობას. **პრინციპი 9** კი, ფარავს მშობლებს და სხვა მზრუნველობითი პასუხისმგებლობების მქონე პირებს და გულისხმობს მათთვის ღირსეული შვებულების, მოქნილი სამუშაო გრაფიკისა და ზრუნვის სერვისებზე თანაბარი წვდომის უფლებას, რათა მათ სამუშაოსთან შეთავსებით, შეასრულონ საკუთარი ზრუნვის პასუხისმგებლობები.²⁴

სოციალური უფლებების ევროპული სვეტის მიღების შემდეგ, ევროკავშირში ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის მიმართულებით რიგი ინიციატივები, პოლიტიკის დოკუმენტები, დირექტივები და რეკომენდაციები იქნა მიღებული. კერძოდ, 2019 წლის სამუშაოსა და პირადი ცხოვრების შეთავსების დირექტივა (2019/1158), რომელიც მიზნად ისახავს **ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებული შვებულების უკეთ მართვას**, და მოიცავს მშობლის, დედობის, მზრუნველთა და მომვლელთა შვებულებებს და დასაქმებულთა უფლებას, მოითხოვონ მოქნილი სამუშაო საათები, რათა შეძლონ მოვლასა და ზრუნვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების შესრულება. დირექტივა ადგენს მინიმალურ სტანდარტებს და წევრ სახელმწიფოებს უტოვებს უფლებას, თავად მიიღონ გადაწყვეტილება ამ უფლების დაცვის ხარისხის შესახებ. დირექტივის ძირითადი პუნქტები მოიცავს:

- 10-დღიან მამობის შვებულებას ან მშობლის დამატებით შვებულებას, ბავშვის დაბადებამდე და დაბადების შემდგომ პერიოდში;
- ოთხთვიან მშობლის შვებულებას, მინიმუმ ორთვიანი ანაზღაურებადი პერიოდით, რომელიც არ გადაეცემა სხვა პირს. ასანაზღაურებელ თანხას წყვეტს სახელმწიფო;
- ოჯახის წევრზე ზრუნვის მიზნით, ცალკეულ დასაქმებულზე, წლის განმავლობაში ერთდღიანი შვებულებით 5-ჯერ სარგებლობას;

²³ European Family Support Network (EurofamNet). 2022. A framework for child and family support in Europe.

²⁴ The European Pillar of Social Rights in 20 Principles. 2017. პრინციპი 9 და 11. ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1606&langId=en>

- 8 წლამდე ასაკის ბავშვების დასაქმებული მშობლისთვის და მზრუნველისთვის, მოქნილი სამუშაო გრაფიკის მოთხოვნის არსებული უფლების გაფართოებას.²⁵

2019 წლის რეკომენდაცია (2019/C189/02) ბავშვთა მაღალი ხარისხის ადრეული განათლებისა და ზრუნვის სისტემის (ECEC) შესახებ, რომელიც ამ მიმართულებით ევროკავშირის ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია და მოიცავს სახელმძღვანელო მითითებებს ECEC სერვისის მიწოდებაზე, მათ შორის, ბავშვზე ფორმალური ზრუნვის ხელმისაწვდომობა, ზრუნვის დაწესებულებების ადეკვატურობა, ადრეული განათლების, ზრუნვის ცენტრების, სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების პერსონალის გადამზადება და მათ შორის თანამშრომლობის გაძლიერება.²⁶

2021 წელს ევროკავშირმა წარადგინა „ევროპის ბავშვთა გარანტია“, ეს არის საბჭოს რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავს არსებითი მნიშვნელობის აქტივობებს და სერვისებს, რაც ევროკავშირში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რათა შემცირდეს ბავშვთა სიღარიბე. გარანტია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ეროვნული სამუშაო გეგმების შექმნისა და განხორციელებისკენ, აღსრულებისვის კი, ევროკავშირი უზრუნველყოფს დაფინანსების მექანიზმის შექმნას. დაფინანსების მთავრი წყაროა ევროპული სოციალური ფონდი პლიუსი (ESF+), რომელიც 2021 წელს შეიქმნა, როგორც 7 წლიანი ფინანსური ჩარჩო. წევრი სახელმწიფოები, სადაც ბავშვთა სიღარიბის დონე აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (23.4% 2017-2019) ვალდებული არიან გამოყონ ESF+ ფონდის 5%, ბავშვთა სიღარიბის დასაძლევად.²⁷

ასევე, აღსანიშნავია 2022 წელს მიღებული ზრუნვის ევროპული სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს, გააძლიეროს ოჯახებისა და ზრუნვის მიმწოდებლების კეთილდღეობა. კერძოდ, გაზარდოს მაღალი ხარისხის ზრუნვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს ბავშვზე ფორმალურ ზრუნვაში მონაწილეობას, და დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს ხანგრძლივი ზრუნვის (long-term care) ეროვნული ჩარჩოების შემუშავებაში.²⁸

ამ მიმართულებით, ბოლო პერიოდის ინიციატივებს შორის, ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის 2021 წლის სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ²⁹, 2020-2025 წლის სტრატეგია გენდერული თანასწორობის შესახებ³⁰ და მის ფარგლებში მიღებული

²⁵ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის დირექტივა (2019/1158). ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32019L1158#PP4Contents>

²⁶ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის რეკომენდაცია (2019/C189/02). ხელმისაწვდომია: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019H0605\(01\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019H0605(01)&from=EN)

²⁷ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2021 წლის რეკომენდაცია (2021/1004). ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1428&langId=en>

²⁸ ევროპის პარლამენტი და საბჭო. 2022. ევროპის ზრუნვის სტრატეგია: ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=89&furtherNews=yes&newsId=10382#navItem-1>

²⁹ ევროკავშირის 2021 წლის სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/12454-EU-strategy-on-the-rights-of-the-child-2021-24-en>

³⁰ ევროკავშირის 2020-2025 წლის სტრატეგია გენდერული თანასწორობის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://commission.europa.eu/strategy-and-policy/policies/justice-and-fundamental-rights/gender-equality/gender-equality-strategy_en

დირექტივები: ანაზღაურების გამჭვირვალობის (2023/970), და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2022/0066/COD). ევროკავშირის ოჯახზე ზრუნვის ფართო პოლიტიკაში ასევე ხაზგასმულია ჯანსაღი და აქტიური დაბერების ხელშეწყობის აუცილებლობა და ხანდაზმულთა მხარდაჭერის მნიშვნელობა, რათა ისინი დარჩნენ საზოგადოების და ეკონომიკის აქტიური წევრები.

ოჯახების მხარდაჭერის კომპონენტში, არსებითია **გენდერული თანასწორობის დაცვის მექანიზმები**, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე, ოჯახში. ამ მიმართულებით ევროკავშირის მნიშვნელოვანი დირექტივებია: ფეხმძიმე მუშაკების და იმ მუშაკების, რომლებსაც ახლახან შეეძინათ შვილი, ან არიან მეძუძური დედები, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ზომების დანერგვის შესახებ (92/85/EEC), საბჭოს დირექტივა დასაქმებისა და საქმიანობისას თანასწორი მოპყრობის ზოგადი ჩარჩოს ჩამოყალიბების შესახებ (2000/78/EC). დირექტივები რომლებიც ადგენს მშობლის შვებულებით სარგებლობის უფლებას დედებისთვის, მამებისთვის და მეურვეებისთვის (2006/54/EC, 2010/41/EU, 2019/1158).

სახელმწიფოს მიერ ოჯახების მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მშობლების უმუშევრობის პერიოდში. მართალია, ევროკავშირში ამ დროისთვის არ ფუნქციონირებს ერთიანი უმუშევრობის დაზღვევის სისტემა, თუმცა ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოში ეროვნულ დონეზე მოქმედებს უმუშევრობის დაზღვევის მექანიზმი. ევროკავშირი კი, მხარს უჭერს წევრ ქვეყნებს და აზიარებს ინსტრუქციებს, თუ როგორ გააუმჯობესონ ეს მხარდაჭერა, რათა დახმარება მიეცეთ მათ, ვისაც ეს სჭირდება, ხოლო მათ, ვისაც შეუძლია მუშაობა, ჰქონდეს წვდომა სამუშაო ადგილზე.³¹

2000 და 2021 წლებს შორის, ევროკავშირში 8 %-ით შემცირდა 18 წელზე უმცროსი ბავშვების რიცხვი. მიუხედავად შობადობის შემცირებისა, მზარდი ოჯახების/ბავშვების მხარდაჭერისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი, რომელმაც 2021 წელს, ევროკავშირის GDP-ს 2.4% შეადგინა.

ბიუჯეტის გადანაწილება განსხვავდება ცალკეული ქვეყნების მიხედვით, ყველაზე მაღალი, GDP-ს 3.6% არის გერმანიაში, GDP-ს 3.4% პოლონეთში, ხოლო ყველაზე დაბალი აქვს მალტას - 0.9%. მთლიანად სოციალურ საკითხებზე გამოყოფილ ბიუჯეტში კი, ყველაზე მაღალი წილი (15%) არის პოლონეთში, ყველაზე დაბალი კი იტალიაში (4.1%).³² მსყიდველობითი უნარის სტანდარტის (PPS)³³ მიხედვით კი, რომელიც გამორიცხავს ფასების დონის განსხვავებას, ყველაზე მაღალი ხარჯვა აქვს ლუქსემბურგს, გერმანიას და დანიას.

მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ კვლევების მიხედვით:

³¹ UNEDIC. 2022. Unemployment Insurance in Europe. ხელმისაწვდომია: https://www.unedic.org/storage/uploads/2023/07/20/Europ-info-2022-EN_uid_64b93e96b505c.pdf
³² EUROSTAT. 2021. Social protection statistics - family and children benefits. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Social_protection_statistics_-_family_and_children_benefits
³³ EUROSTAT. Glossary: Purchasing power standard (PPS). ხელმისაწვდომია: [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Glossary:Purchasing_power_standard_\(PPS\)](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Glossary:Purchasing_power_standard_(PPS)) [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

წარმატებული საოჯახო პოლიტიკა ეფუძნება ინსტრუმენტებს, რომლებიც ფულად გადარიცხვებთან ერთად, მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას. კერძოდ, სახელმწიფოს დაფინანსებულ ინსტიტუციურ ზრუნვას, დეკრეტულ შვებულებას და პოლიტიკებს, რომლებიც ეხმარება ქალებს, რომ მალე დაბრუნდნენ შრომის ბაზარზე, გაცილებით უფრო დიდი გავლენა აქვს დემოგრაფიაზე და ოჯახების კეთილდღეობაზე, ვიდრე ფინანსური დახმარების გაცემას.¹

სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ხშირად კრიტიკის საგანია იმ ქვეყნების პოლიტიკა (უნგრეთი და პოლონეთი), რომლებიც აქცენტს მხოლოდ ფულადი დახმარების გაცემაზე აკეთებენ და ზრდიან ოჯახების ყოველთვიური დახმარების ოდენობას, თუმცა, მეორეს მხრივ მათი პოლიტიკები დაცლილია გენდერული სამართლიანობისგან და პირიქით, მიმართულია ოჯახების ტრადიციული მოდელების განმტკიცებისკენ, რაც საბოლოო ჯამში ვერ უზრუნველყოფს ოჯახების ეფექტიან და გრძელვადიან დაცულობას.³⁴

4. ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო

ევროკავშირში ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის მიმართულებით არსებული რიგი ინიციატივების, პოლიტიკის დოკუმენტების, დირექტივების და რეკომენდაციების ფონზე, განსხვავებულია ცალკეულ წევრ ქვეყნებში ამ მიმართულებით არსებული როგორც გამოწვევები, ისე მიდგომები. ისტორიულ-პოლიტიკური, დემოგრაფიული და ეკონომიკური მახასიათებლების მსგავსების გათვალისწინებით, აღნიშნული თავი საქართველოსთან ერთად, მოკლედ მიმოიხილავს ესტონეთისა და ლიეტუვას გამოცდილებას ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის მიმართულებით. კერძოდ, „სოციალური უფლებების ევროპული სვეტის“ მე-9 და მე-11 პრინციპის მიხედვით, მიმოიხილავს ბავშვების და მათი ოჯახების მხარდასაჭერად გათვალისწინებულ ყველა ძირითად სერვისს.

4.1 ბავშვზე ზრუნვა და მხარდაჭერა - ესტონეთის და ლიეტუვას პოლიტიკა

2021 წელს ევროკავშირში ორი მნიშვნელოვანი ინიციატივა იქნა წარდგენილი, ევროკავშირის ბავშვთა უფლებების სტრატეგია³⁵ და „ევროპის ბავშვთა გარანტია“, რაც გარდამტეხი მომენტი იყო ევროკავშირში ბავშვთა სიღარიბესთან ბრძოლისთვის. აღნიშნული ინიციატივების მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა, მათ შორის ესტონეთმა და ლიეტუვამ, შეიმუშავეს ეროვნული სამოქმედო გეგმები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს მშობელთა განათლების და დამხმარე სერვისების განვითარებაზე, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მხარდაჭერის გაძლიერებაზე, სექტორთაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესებაზე, ყოველთვიური ფულადი დახმარების ოდენობის

³⁴ ვერონიკა გრზებალსკა, ანდრეა პეტო. 2022. თარგმანი: ლაშა ქავთარაძე. ანტილიბერალური ტრანსფორმაციის გენდერირებული სამოქმედო გზები უნგრეთსა და პოლონეთში.

³⁵ ევროკავშირის ბავშვთა უფლებების სტრატეგია 2021-2024. ხელმისაწვდომია:

<https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/12454-EU-strategy-on-the-rights-of-the-child-2021-24- en>

გაზრდაზე, ბავშვთა საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის განვითარებასა და მიზნობრივი ჯგუფების მიერ განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე, მათ შორის უფასო სასკოლო კვების უზრუნველყოფასა და სკოლის შემდგომი აქტივობების ორგანიზებაზე.³⁶

2022 წლის მონაცემებით, ესტონეთში სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის რისკის წინაშე ბავშვების 16,6% იმყოფება, ლიეტუვაში ეს რიცხვი უფრო მაღალია და 22,4% შეადგენს, თუმცა, ორივე ქვეყნის მაჩვენებელი დაბალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე (24,7%).³⁷

ფინანსური მხარდაჭერა ესტონეთისა და ლიეტუვას ბავშვის/ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ძირითადად უნივერსალური ხასიათისაა, ბავშვის დაბადებისთანავე იწყება და მიზნად ისახავს სახელმწიფოს მიერ ოჯახის გრძელვადიან ფინანსურ მხარდაჭერას ბავშვის აღზრდის პროცესში.

ესტონეთში ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ფულადი გასაცემლებია:

- ბავშვის დაბადების დროს ერთჯერადი დახმარება (320 ევრო), რომელიც განსხვავებულ ოდენობას ადგენს ტყუპების და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის დაბადებისას. მისი მიზანია ერთჯერადად დაეხმაროს მშობლებს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში. იგივე სისტემა ეხება შვილად აყვანის დროსაც, როდესაც მშვილზელი იღებს დახმარებას (320 ევრო).
- უნივერსალური ხასიათის ყოველთვიური გასაცემელი (80 ევრო), რომელიც გაიცემა ბავშვის დაბადებიდან - სწავლის დასრულებამდე და რომლის მიზანიაცაა ბავშვთა სიღარიბის შემცირება და განათლების ხელშეწყობა.
- სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის ყოლისას, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ყოველთვიური ფულადი დახმარება (138.08-დან 241.64 ევრომდე) და სოციალური რეაბილიტაციის სერვისი.
- მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა ითვალისწინებს 3 და მეტი ბავშვის შემთხვევაში ყოველთვიურ ფულად გასაცემელს, უფროსი შვილის სრულწლოვნებამდე (450-დან 650 ევრომდე). ასევე გათვალისწინებულია ოჯახის ყოველთვიური დახმარება მეურვეობის შემთხვევაშიც (240 ევრო).
- ყოველთვიური დახმარება მარტოხელა მშობლისთვის (80 ევრო).
- ყოველთვიური დახმარება ბავშვისთვის, რომლის მშობელიც ესტონეთის თავდაცვის ძალებში მსახურეობს (900 ევრო თითო ბავშვზე).

სისტემა ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა მშობლები ერთად არ/აღარ ცხოვრობენ და მათთან შეთანხმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი მშობელი მიიღებს საოჯახო დახმარებას. ასევე, სისტემა მოქნილია იმ ოჯახებისთვის, სადაც შეიძლება იზრდებოდნენ ბავშვები წინა ქორწინებიდან. ასეთ შემთხვევაში პარტნიორებს/მეუღლეებს შეუძლიათ მოითხოვონ და მიიღონ საოჯახო ბენეფიტები ოჯახში მყოფ ყველა ბავშვზე.

³⁶ EuroChild. 2022 და 2023. Lithuania - Child Guarantee National Action Plan Overview. ხელმისაწვდომია: <https://eurochild.org/uploads/2023/07/Lithuania-NAP-one-pager.pdf>

<https://eurochild.org/uploads/2022/07/Estonia-Child-Guarantee-National-Action-Plan-Overview.pdf>

³⁷ EUROSTAT. 2023. Children at risk of poverty or social exclusion. ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Children_at_risk_of_poverty_or_social_exclusion#Key_findings

ლიეტუვაში ბავშვის მხარდაჭერისთვის განსაზღვრული ფულადი გასაცემელების ოდენობა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ტემპით გაიზარდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, კერძოდ 2000 წლიდან 2021 წლამდე, ოჯახსა და ბავშვების დაცვაზე გამოყოფილი ბიუჯეტი გასამმაგდა.³⁸ კერძოდ, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული არსებული ფულადი გასაცემელებია:

- ბავშვის დაბადებისას/შვილად აყვანისას უნივერსალური ხასიათის ერთჯერადი ფულადი დახმარება (605 ევრო). ტყუპების ყოლის შემთხვევაში გათვალისწინებულია სპეციალური დანამატი - 220 ევროს ოდენობით ცალკეულ ბავშვზე, რომელსაც იღებს ოჯახი ბავშვის 2 წლის ასაკამდე.
- ბავშვთა სიღარიბის შემცირების მიზნით, 2018 წლიდან ლიეტუვაში ბავშვთა ყოველთვიური ბენეფიტი უნივერსალური ხასიათის გახდა, რომლის მიხედვითაც ყველა ბავშვი დაბადებიდან 18 წლამდე (სწავლის შემთხვევაში 23 წლამდე) იღებს სახელმწიფოს ყოველთვიურ ფულად დახმარებას (96.25 ევრო). დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები, ოჯახები სადაც სამი ან მეტი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია, იღებს დანამატს თითოეული ბავშვისთვის.
- სისტემა ასევე ხედავს ბავშვებს, რომელთა მშობლები სხვადასხვა მიზეზის გამო არ არიან მათ გვერდით. მაგ. მშობლები, რომლებიც გადიან ფორმალური პროფესიული გადამზადების პროგრამას ან არიან სტუდენტები უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, 2 წლამდე ბავშვზე ზრუნვის მიზნით იღებენ ყოველთვიურ დახმარებას (330 ევრო), სწავლის პერიოდში და დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში. ასევე, ბავშვებისთვის რომელთა მშობელი(ები) არიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში, ყოველთვიურად განსაზღვრულია დახმარება 82.5 ევროს ოდენობით.
- ბავშვები რომლებიც სხვადასხვა მზრუნველობით დაწესებულებაში თუ მზრუნველ ოჯახში არიან იღებენ სხვადასხვა ოდენობის ყოველთვიურ დახმარებას (254-318 ევრო) ასაკისა და სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით. მხარდაჭერის სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, როდესაც მინდობითი აღზრდის სისტემიდან გასული ბავშვისთვის ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას (3,675 ევრო), რომელიც განკუთვნილია საცხოვრებელი ადგილისა თუ პირობების შექმნის/გაუმჯობესებისთვის.
- ბავშვზე ზრუნვის ბენეფიტი, რომელიც შეიძლება მიიღონ როგორც მშობლებმა ასევე ბებია/ბაბუამ ან ბავშვის სხვა მზრუნველმა. აღნიშნული ბენეფიტი გამოიანგარიშება მზრუნველის წინა პერიოდის შემოსავლებით (78%) და შეიძლება გაგრძელდეს 1 ან 2 წელი.³⁹

ოჯახების მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ნაწილია მიზნობრივი სოციალური დახმარების კომპონენტიც, რომელიც ითვალისწინებს ფულად სოციალურ დახმარებას ოჯახებისთვის და მარტო მცხოვრები პირებისთვისაც, ვისაც არ აქვს საჭირო სახსრები საცხოვრებლად. ეს

³⁸ EUROSTAT. 2021. Social protection statistics - family and children benefits. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Social_protection_statistics_-_family_and_children_benefits

³⁹ ლიეტუვის სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის სამინისტროს ვებ-გვერდი. Assistance to pregnant women and families raising children. ხელმისაწვდომია: <https://socmin.lrv.lt/en/activities/family-and-children/social-assistance-to-families-and-children/assistance-to-pregnant-women-and-families-raising-children/> [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

მოიცავს როგორც ფულად დახმარებას, ასევე კომპენსაციას სახლის გათბობის, ცხელი და სასმელი წყლის ხარჯებისთვის.⁴⁰

4.2 ბავშვზე ზრუნვა და მხარდაჭერა - საქართველოს პოლიტიკა

საქართველოში არ არსებობს ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვის პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. არსებული პრაქტიკები ძირითადად ბავშვის უფლებების დაცვისთვის შექმნილ სამართლებრივ დოკუმენტებს ეფუძნება. მათ შორის, 2019 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ბავშვის უფლებათა კოდექსს⁴¹, და ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიას.⁴² აღნიშნულ დოკუმენტებში გაზიარებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში ასახული ყველა უფლება და თავისუფლება. ამასთან, ხაზგასმულია ბავშვების საჭიროებების ღირსეულად დაკმაყოფილების აუცილებლობა და სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ბავშვის კეთილდღეობის დაცვაში, როცა ამას ოჯახი ვერ ახერხებს. ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვის სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, არ არის სავმარისი დაცვის ეფექტური მექანიზმების შესაქმნელად. წლების განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან სიღარიბისა და იმ რისკების მიმართ, რაც დაკავშირებულია მათი ცხოვრების არასათანადო დონესთან.

2022 წლის მონაცემების მიხედვით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის 20,4% არის 0-17 ასაკის მოსახლეობა, რაც მაღალია ყველა სხვა ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებელზე.¹

საქართველოში სიღარიბის შემცირების მთავარი სქემა არის მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა (სოციალური შემწეობა). დახმარების მაძიებელმა შინამეურნეობებმა პროგრამაში მათი ჩართვის ვალიდურობის დასადასტურებლად უნდა გაიარონ მათი ქონებისა და საცხოვრებელი პირობების შეფასების პროცედურა - ოჯახის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (PMT). შინამეურნეობის კეთილდღეობის ქულა ციფრულად დაიანგარიშება სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლების მიერ აპლიკანტ შინამეურნეობაში ვიზიტის შედეგად. ფულადი გასაცემელი განსხვავდება ოჯახების კეთილდღეობის შემაფასებელი სარეიტინგო ქულების მიხედვით და ოჯახის თითოეული წევრისთვის (16 წელს ზემოთ) 30-დან 60 ლარამდეა. პროგრამა მოიცავს ბავშვთა მიზნობრივი დახმარების კომპონენტსაც, რომლის მიხედვითაც, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ის ოჯახები, რომელთა კეთილდღეობის შემაფასებელი ქულა 120,001-ზე ნაკლებია, თვეში 200 ლარს იღებენ

⁴⁰ ლიეტუვის სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის სამინისტროს ვებ-გვერდი. Support to low-income families and single persons. ხელმისაწვდომია: <https://socmin.lrv.lt/en/activities/family-and-children/social-assistance-to-families-and-children/support-to-low-income-families-and-single-persons/> [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].


⁴¹ ბავშვის უფლებათა კოდექსი. 2019. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6>

⁴² საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0>

ოჯახის 16 წლამდე ასაკის თითოეულ წევრზე. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიხედვით, 2024 წლის მარტისთვის აღნიშნული დახმარება მიიღო 234,763 ბავშვმა (30.6%).⁴³

საგულისხმოა, რომ წლების განმავლობაში იზრდება სოციალური შემწეობის მიღების მიზნით წარდგენილი განცხადებების რაოდენობა. **2024 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოში ოჯახების 35,6% რეგისტრირებულია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში.**⁴⁴ აღნიშნული მონაცემების ასაკობრივი ჩაშლა აჩვენებს, რომ ბავშვიანი ოჯახები განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან, ამასთან, ოჯახების სიღარიბე ხშირად წარმოადგენს ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან განცალკევების ძირითად საფუძველს.⁴⁵

საარსებო შემწეობის მიღების მსურველთა დიდი რაოდენობის მიუხედავად, პროგრამა წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში ფუნქციონირებს და სრულად ვერ ფარავს საჭიროებებს - 2024 წლის მარტის მონაცემებით, რეგისტრირებული ოჯახების მხოლოდ 45% მოხვდა სისტემაში და იღებს ფულად დახმარებას.




⁴³ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://ssa.moh.gov.ge/statistik.php?lang=1&id=202212070000144333422303&v=> [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ საქართველოს სახალხო დამცველი. 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ, გვ. 288.

აღსანიშნავია, რომ საარსებო შემწეობის მიმღებთა ზრდა, შესაძლოა, გარკვეულწილად აბალანსებდეს აბსოლუტური სიღარიბის დონეს ქვეყანაში. თუმცა, შემწეობის მიღების მსურველთა მზარდი რაოდენობა აჩვენებს, რომ ქვეყანაში ყოველწლიურად მატულობს (36-40%) სხვადასხვა მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების რიცხვი, რომლებსაც სოციალური მხარდაჭერის სისტემა ვერ ხედავს, მანამ, სანამ აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა არ აღმოჩნდებიან. 2023 წელს ჩატარებული ბავშვთა კეთილდღეობის კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვების 37,8 პროცენტისთვის ოჯახები ვერ უზრუნველყოფენ სამ ან მეტ საჭიროებას.¹

UNICEF-ის შეფასებით, ბავშვთა სიღარიბე მნიშვნელოვნად შემცირდება, თუკი ფულადი დახმარება იქნება საყოველთაო, როგორც ეს ესტონეთსა და ლიეტუვას აქვს, ან მოხდება დახმარების თანხის რანჟირება მიზნობრივი სოციალური ქულის საფუძველზე.⁴⁶




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სოციალური მომსახურების სააგენტო

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ფულად გასაცემელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის (340-დან 384 ლარამდე) და მარჩენალდაკარგული ბავშვებისთვის. კვლევები აჩვენებს, რომ არსებულ სისტემაში განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში არიან შშმ ბავშვები და მათი მარტოხელა დედები, რადგანაც ბავშვზე ზრუნვის მომეტებული საჭიროების გამო, ისინი ვერ ერთვებიან ანაზღაურებად საქმიანობაში და ხშირად, ბავშვისთვის მიღებული ფულადი გასაცემელი მათთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა, რომელიც იხარჯება ოჯახის ზოგადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ვერ აკმაყოფილებს ბავშვის სპეციალურ საჭიროებებს, რაც

⁴⁶ გაეროს ბავშვთა ფონდი. 2019. მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვთა სიღარიბის სიღრმისეული ანალიზი და სოციალური ტრანსფერებით სიღარიბის შემცირების სიმულაცია.

უარყოფითად აისახება შშმ ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.⁴⁷ ამასთან, კანონმდებლობით დაუშვებელია ორი ან მეტი სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღება და თუ მაგალითად, მარჩენალდაკარგული ბავშვი ამავე დროს შშმ პირია, მას არ შეუძლია ორივე გასაცემლის მიღება და უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთი, რაც უგულებელყოფს აღნიშნული სარგებლის გაცემის მიზანს.

ბავშვისთვის განკუთვნილი კიდევ ერთი სახელმწიფო ფულადი გასაცემელი მიზნად ისახავს ქვეყანაში **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას**. კერძოდ, საქართველოში 2014 წლიდან ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გულისხმობს ყოველთვიურ ფულად მხარდაჭერას ახალდაბადებული ბავშვისთვის, შემდეგი პირობების გათვალისწინებით: ა) ფულადი დახმარების მიმღები ბავშვი დაბადებული უნდა იყოს 2014 წლის 1 ივნისიდან; ბ) ფულადი დახმარების მიმღები ბავშვის ბიოლოგიური დედა/ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ბავშვის დაბადების წლის წინა მე-2 ან მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი (ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) არ ფიქსირდება და გ) ფულად დახმარებას იღებს რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლად შობილი შვილი. ფულადი დახმარების ოდენობა მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის წარმოადგენს 200 ლარს, ხოლო არა მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 150 ლარს. ფულადი დახმარება გაიცემა ბავშვის 2 წლის ასაკამდე. ასევე, სხვადასხვა მიზნობრიობის მიუხედავად, ერთი და იგივე პირი ვერ მიიღებს ორ ან მეტ ფულად დახმარებას.⁴⁸



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სოციალური მომსახურეობის სააგენტო

⁴⁷ გოგბერაშვილი ა., & კარაპეტანი გ., 2019. შშმ ბავშვების დედების საჭიროებები თბილისსა და რეგიონებში, გვ. 50.

⁴⁸ სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://ssa.moh.gov.ge/main.php?lang=1&id=202212140241141124786202> [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

საგულისხმოა, რომ 2014 წლიდან დღემდე, იზრდება პროგრამით დაფინანსებული ბავშვების რაოდენობა, თუმცა ეს ფაქტი ნაკლებად აისახება ქვეყანაში შობადობის წახალისებაზე. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2023 წელს 40 214 ბავშვი დაიბადა, რაც დაახლოებით 34% ით ნაკლებია 2014 წლის მონაცემებზე. პროგრამის არაეფექტურობა, რიგი მახასიათებლით არის გამოწვეული. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ პროგრამა ვრცელდება კონკრეტულ რეგიონებში და არ მოიცავს მთელ ქვეყანას; ფულადი დახმარების უფლება წარმოიშობა მესამე და შემდეგ ბავშვზე და არა ყოველ ბავშვზე; ასევე, მცირეა დახმარების ოდენობა (150-200 ლარი) და მისი მიღების პერიოდი (2 წელი); პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთ დეტალებს, როგორებიც შეიძლება იყოს ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებები, მარტოხელა მშობლობა, და სხვა ის გარემოებები, რაც უფრო მოწყვლად სიტუაციაში ჩააყენებს ოჯახს და ბავშვს. ამასთან, აღნიშნული მიდგომებით პროგრამა ვერ გააუმჯობესებს ქალთა მდგომარეობას ანაზღაურებადი დასაქმებისა და ზრუნვის შრომის თვალსაზრისით და, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, უბრალოდ ოჯახის ტრადიციულ მოდელებს განამტკიცებს. როგორც სხვა სოციალური დახმარებების შემთხვევაშიც, ამ პროგრამაში მონაწილეობის დროსაც, სხვადასხვა მიზნობრიობის მიუხედავად, ერთი და იგივე პირი ვერ მიიღებს ორ ან მეტ ფულად დახმარებას, რაც უფლებელყოფს სოციალური სარგებლის გაცემის მიზანს.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობებიც ახდენენ მთელი რიგი დახმარებების ადმინისტრირებას, სხვადასხვა მოწყვლადობის მქონე პირებისა და შინამეურნეობებისათვის, მაგრამ არ არსებობს ინფორმაციის ინსტიტუციონალიზებული სისტემა, რომელიც თავს მოუყრიდა სოციალური ბენეფიტებისა და მათი მიმღებების შესახებ ინფორმაციას. ცალკეული კვლევები აჩვენებს, რომ მუნიციპალური პროგრამების დიზაინი და სამოქმედო არეალი მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავდება, თუმცა ძირითადი ნაწილი გარკვეული ჯგუფებისთვის ერთჯერად ფულად დახმარებას ითვალისწინებს. საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში მუნიციპალურ სოციალურ სერვისებში ჩართვა სოციალურად დაუცველი ოჯახების ქულებზეა მიბმული, რაც საარსებო შემწეობის სისტემის მიღმა დარჩენილ ადამიანებს მხარდაჭერის გარეშე ტოვებს.⁴⁹

4.3 სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსება - ესტონეთის და ლიეტუვას პოლიტიკა

ოჯახების სტრუქტურული ცვლილებების ფონზე, გაიზარდა დისკუსიები ოჯახების მხარდაჭერის პროცესში, თანასწორობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის პოლიტიკის ინტეგრირების მნიშვნელობაზე. სწორედ ამ მიზნით, ევროკავშირის ქვეყნებში იქმნება სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს, რომ მშობლებსა (განსაკუთრებით დედებს) და ზრუნვაზე პასუხისმგებლობის მქონე სხვა პირებს, ჰქონდეთ შესაძლებლობა უკეთ დააბალანსონ სამუშაო და ოჯახური ცხოვრება და ამასთან, თანაბრად გადაინაწილონ ზრუნვის პასუხისმგებლობები.

⁴⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2023. საარსებო შემწეობის როლი სოციალური დაცვის სისტემაში და მისი მიმართება სოციალური მხარდაჭერის სხვა სერვისებთან. გვ. 47-51. International Labour Organization, UN Women, Assessment of the Social Protection System in Georgia, Final Report. 2020.

ესტონეთში, 2023 წელს ქალების მონაწილეობა შრომის ბაზარზე 75.4% იყო, ლიეტუვაში - 72.6, რაც უსწრებს ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (65.7%).⁵⁰ სხვაობა მამაკაცისა და ქალის სამუშაო საათებს შორის, რომლებიც საშინაო შრომაზე იხარჯება მცირეა, როგორც ესტონეთში (1,1საათი), ასევე ლიეტუვაში, (1 საათი)⁵¹. მიუხედავად ქალების აქტიური მონაწილეობისა შრომის ბაზარზე, ევროკავშირში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სახელფასო სხვაობა (ნედლი) ესტონეთში (21.3%) ფიქსირდება. ლიეტუვაში კი, ეს მაჩვენებელი 12%-ია, რაც დაბალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე (12.7%).

სამუშაოსა და ზრუნვის პასუხისმგებლობების თანაბრად შეთავსების მნიშვნელოვანი კომპონენტია **დროითი რესურსით** მშობლებისა და მეურვეების უზრუნველყოფა, რაც პირველ რიგში მოიაზრებს მშობლის შვებულებით სარგებლობის უფლებას მამებისთვის, დედებისა და ოჯახებისთვის.

დეკრეტულ შვებულებაზე ხელმისაწვდომობით, **ესტონეთი** ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში. ესტონეთში 1950 წლებში დედებს ჰქონდათ უფლება 5-კვირიანი დამატებითი შვებულების აღების. 1973 წელს 112 დღემდე, სრული ანაზღაურებით. 1984 წლიდან არსებობს დამატებითი შვებულების სისტემა, ბავშვის 1 წლის ასაკამდე. დღეს, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდგომ პერიოდში, დასაქმებულ დედებს შეუძლიათ ისარგებლონ ანაზღაურებადი 100 კალენდარული დღიანი შვებულებით. მათთვის, ვინც არ მუშაობს, ეს არის 30 კალენდარული დღე და მხოლოდ ბავშვის გაჩენის შემდგომ პერიოდს მოიცავს. ამასთან, დასაქმებული იღებს ანაზღაურებას, რომელიც იანგარიშება შვებულებით სარგებლობის წინა წელს გამომუშავებული სრული ანაზღაურების საფუძველზე (მინიმუმ 725 ევრო). დაუსაქმებელის შემთხვევაში კი, განსაზღვრულია მინიმალური ოდენობა - 725 ევრო. ესტონეთის კანონმდებლობით მამებს შეუძლიათ ისარგებლონ 30-დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ბავშვის დაბადებამდე 30 დღით ადრე პერიოდიდან, ბავშვის 3 წლამდე ასაკამდე, ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. შვილად აყვანის შემთხვევაში, მშობლების შვებულება არის 70 დღე, რომელიც ორივე მშობელს ეხება და შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთად, შესაბამისი გადანაწილებით.⁵²

მშობლის შვებულება ასევე მოიაზრებს ბავშვის მოვლისთვის შვებულებას, რომელიც ესტონეთში განსაზღვრულია წელიწადში დამატებით 10 დღით, თითოეული მშობლისთვის ვისაც 14 წლამდე ასაკის ბავშვი ყავს. იმ მშობლებისთვის, ვისაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი ყავს, ეს განსაზღვრულია 12 დღით, ბავშვის 18 წლის ასაკამდე. ეს არის ანაზღაურებადი შვებულება, რომლის ოდენობა დამოკიდებულია საანგარიშო პერიოდში გადახდილი სოციალური გადასახადით და მინიმუმი ოდენობა არის 38.73 ევრო დღეში.

⁵⁰EUROSTAT. Employment and activity by sex and age - annual data. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/lsi_emp_a_custom_11843239/default/table?lang=en [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

⁵¹ OECD data explorer. Employment. ხელმისაწვდომია: <https://stats.oecd.org/index.aspx?queryid=54757> [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

⁵² ესტონეთი შრომის ინსპექციის ვებ-გვერდი. მშობლების შვებულება. ხელმისაწვდომია: <https://www.tooelu.ee/en/63/leaves-parents#an-overview-of-the-types-of-leaves-for-parents> [ბოლოს ნანახია: 24.07.2024].

ესტონეთში ორსულობის პერიოდში დასაქმებულ ქალს აქვს უფლება აიღოს თავისუფალი დრო სამედიცინო გამოკვლევებისთვის, რომელიც სამუშაო საათებში ითვლება. ბავშვზე ზრუნვისთვის გამოყოფილი დროით რესურსი ასევე მოიცავს დამატებით დროს დასაქმებული დედებისთვის, ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში. ესტონეთში ეს გულისხმობს 30 წუთის ხანგრძლივობის შესვენებას ყოველ 3 საათში.

ლიეტუვას ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება აქვს. დედობის შვებულება ითვალისწინებს ანაზღაურებად (შემოსავლების 77.58%) 70 კალენდარულ დღეს ბავშვის დაბადებამდე და 56 დღეს - დაბადების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის გაჩენას თან ახლავს გართულებები, დამატებით განსაზღვრულია 14 დღე. ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში, დედობის შვებულება გრძელდება ბავშვის 70 დღის ასაკამდე. მამობის შვებულება მოიცავს ანაზღაურებად (შემოსავლების 77.58%) 30 კალენდარულ დღეს, რომელიც ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს ბავშვის დაბადებიდან ბავშვის 1 წლამდე ასაკამდე პერიოდში.

დასაქმებულის ოჯახური ვალდებულებების პატივისცემის პრინციპი, 2017 წელს აისახა **ლიეტუვას** შრომის კოდექსში, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებლები ვალდებული არიან ორსულ თანამშრომელს ან/და 3 წლამდე ასაკის ბავშვიან დედას, საჭიროების შემთხვევაში მისცეს დისტანციურად ან მოქნილი სამუშაო გრაფიკით მუშაობის შესაძლებლობა. ასევე, მოიცავს ბავშვის ძუძუთი კვებისთვის მინიმუმ 30 წუთის შესვენებას ყოველ 3 საათში ერთხელ, რომელიც სამუშაო საათებში ითვლება და შესაბამისად ანაზღაურდება.⁵³

მზრუნველობითი პასუხისმგებლობის მქონე პირების დროითი რესურსით მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ნაწილია **ადრეული განათლების** ხელშეწყობა. **ესტონეთი** მსოფლიოში აღიარებულია თავისი მაღალი ხარისხის და ყოვლისმომცველი განათლების სისტემით. ესტონეთის 2020 წლის სტრატეგია ხაზს უსვამს მთავრობის მისწრაფებას უზრუნველყოს ყველა ადამიანი სასწავლო შესაძლებლობებით, რომლებიც მორგებულია მათ საჭიროებებზე და უნარებზე და მნიშვნელოვანია მთელი მათი ცხოვრების განამავლობაში, რათა მაქსიმალურად გაზარდოს შესაძლებლობები საზოგადოებაში, სამუშაო ადგილზე და ოჯახურ ცხოვრებაში. ესტონეთი ყოველწლიურად საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყნების რიგებშია PISA-ს კვლევაში, როგორც მათემატიკის და მეცნიერების მიმართულებით, ასევე ადრეული განათლებისა და ზრუნვის პროგრამების (ECEC)-ის პროგრამების თანასწორად მიწოდების კუთხითაც.⁵⁴ ესტონეთის განათლების სისტემაში, ადრეულ განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ევროკავშირის სტრუქტურული ინდიკატორების მიხედვით, ესტონეთი აკმაყოფილებს ECEC-ის ხარისხის შეფასების მრავალ ინდიკატორს, მათ შორის:

- ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა 1.5 ასაკიდან მიიღონ ადრეული განათლება, მიუხედავად მისი არასავალდებულო ხასიათისა ბავშვების 94.6% დადის სკოლამდელ დაწესებულებაში. ამასთან, 2022 წლის მონაცემებით, 3 წლიდან ბავშვების დასწრების მაჩვენებელი (91.9) მაღალია OECD ქვეყნების საშუალო

⁵³ Lithuania Employment Law. ხელმისაწვდომია: <https://www.replicon.com/regulation/lithuania/> [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

⁵⁴OECD. 2022. PISA 2022 Results (Volume I and II) - Country Notes: Estonia. ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/publication/pisa-2022-results/country-notes/estonia-dafed886/>

მაჩვენებელზე (73%).⁵⁵ 2006 წლიდან ასევე ხელმისაწვდომია ბავშვზე ზრუნვის ცენტრები, რომელიც გულისხმობს 2-8 თვის ბავშვებისთვის სერვისს. ეს არის ფასიანი სერვისი, რომელიც წლების განმავლობაში უფრო და უფრო პოპულარული ხდება და გულისხმობს ბავშვების კრეატიულობის განვითარებას მუსიკით, რითმით და სხვა აქტივობებით.

- ადრეული განათლების ცენტრები ძირითადად საჯარო არის (96%), რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე მშობლების შენატანებიდან და დონაციიდან. მშობლებისთვის გადასახადის არსებობა არ არის იდენტიფიცირებული, როგორც დაბრკოლება ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობისა, რამდენადაც გადასახადი განხსვავდება ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით და არ შეიძლება აჭარბებდეს ოჯახის შემოსავლის 4%-ს.
- ECEC-ის დაწესებულებებში, მინიმუმ ერთი თანამშრომელი თითო საბავშვო ჯგუფში არის უმაღლესი განათლების მქონე.
- 2015 წლიდან მზარდია ადრეული განათლების დაწესებულებების პერსონალის ანაზღაურება, რომელიც დაახლოებით ორმაგია ქვეყანაში არსებულ მინიმალურ ანაზღაურებაზე.
- ECEC ესტონური სისტემა მოიცავს ენის მხარდამჭერ ზომებს, მაგალითად აქტივობები ბავშვების ენის სწავლების გასაუმჯობესებლად, ვინც სახლში არა ესტონურ ენაზე საუბრობს. პრიორიტეტულია ენობრივი ბარიერების შემსუბუქება რუსულენოვანი ბავშვებისთვის.

კარგად ორგანიზებული ადრეული განათლების სისტემა აქვს **ლიეტუვასაც**, რომელიც ორ ნაწილს მოიცავს - დაბადებიდან 5 წლამდე არის არასავალდებულო ხასიათის მქონე, სკოლის მოსამზადებელი პერიოდი, 5 და 7 წლამდე კი, არის დაწყებითი კლასისთვის მოსამზადებელი სავალდებულო პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ სერვისის გაცემა ბავშვის დაბადებიდან იწყება, დეკრეტული შვებულების 1-2 წლიანი პრაქტიკის გამო, ECEC დაწესებულებებში ძირითადად 1.5 წლიდან არიან ბავშვები.⁵⁶

ECEC დაფინანსება სკოლის მოსამზადებელ პერიოდში (0-5 წელი) ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება, ადგილობრივი ბიუჯეტი მხოლოდ დამატებით საჭირო ფინანსურ რესურს ამატებს, მშობლების კონტრიბუცია კი ბავშვის კვების თანხაა. სავალდებულო პერიოდის განმავლობაში (5-7) კი, სერვისი არის სრულად სახელმწიფოს დაფინანსებაზე. ლიეტუვაში ბავშვების მონაწილეობა ადრეული განათლების სისტემაში წლიდან წლამდე იზრდება, 2022 წლის მონაცემებით 3 წლიდან ბავშვების დასწრების მაჩვენებელი (96.6%) მაღალია ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე (92.7%).⁵⁷ მიუხედავად მაღალი მონაწილეობისა, საგულისხმოა მნიშვნელოვანი სხვაობა სოფლად და ქალაქად ბავშვების მონაწილეობას შორის. კვლევები აჩვენებს, რომ ეს მნიშვნელოვნად

⁵⁵OECD. 2023. Education at a Glance. Country Note. Estonia. ხელმისაწვდომია: https://gpseducation.oecd.org/Content/EAGCountryNotes/EAG2023_CN_EST_pdf.pdf

⁵⁶European Commission-ის ოფიციალური ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/lithuania/access> [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

⁵⁷EUROSTAT. Pupils and students -enrolments. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/educ_uae_enra22/default/table?lang=en [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

განპირობებულია ტრანსპორტზე შეზღუდული წვდომით და ასევე ნაკლები მოთხოვნით ამ სერვისზე.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია **უმუშევრობის** პერიოდში, შემოსავლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობის დაცვა სიღარიბის რისკებიდან. **ესტონეთი**, ევროკავშირის იმ 10 ქვეყანას შორის არის, რომელიც ითვალისწინებს, როგორც უმუშევრობის დაზღვევას, ასევე შემწეობას იმათთვის, ვინც დროებით დაკარგა სამუშაო ადგილი ანდა ფიქრობს სამუშაო ადგილის შეცვლაზე. **უმუშევრობის დაზღვევა** არის მათთვის, ვინც დარეგისტრირდა როგორც უმუშევარი, რომელმაც დაკარგა სამუშაო ადგილი არა პირადი გადაწყვეტილებით ანდა დამსაქმებელთან შეთანხმებით და ვინც, რეგისტრაციამდე 3 წლის განმავლობაში, მინიმუმ 12 თვე იყო უმუშევარი. დაზღვევის ოდენობა დამოკიდებულია წინა პერიოდის ხელფასზე. უმუშევრობის დაზღვევა დაფინანსებულია უმუშევრობის დაზღვევის ფონდიდან, რომელიც ივსება დასაქმებულისა და დამსაქმებლის ყოველთვიური შენატანიდან. რაც შეეხება **უმუშევრობის შემწეობას**, ესტონეთში იგი სრულად დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან და შეიძლება მიიღოს პირმა, რომელიც რეგისტრაციამდე ერთი წლის განმავლობაში მინიმუმ 180 დღე იყო უმუშევარი. უმუშევრობის შემწეობა შეიძლება მიიღოს პირმა მაქსიმუმ 270 დღის განმავლობაში. 2024 წელს უმუშევრობის შემწეობა არის დღეში 11.7 ევრო. უმუშევრობის შემწეობის და უმუშევრობის დაზღვევის ერთდროულად მიღება დაუშვებელია.⁵⁸

ლიეტუვაში მხოლოდ უმუშევრობის დაზღვევა არის გათვალისწინებული, რომელიც სავალდებულოა ყველა დასაქმებულისათვის. დაზღვევის ოდენობა დაკავშირებულია უმუშევრობამდე არსებულ შემოსავალთან და მთავრობის მიერ დამტკიცებულ ოდენობასთან. უმუშევრობის დაზღვევის მისაღებად, აუცილებელია, რომ პირს ჰქონდეს მინიმუმ 12 თვიანი სადაზღვევო ისტორია ბოლო 30 თვის განმავლობაში. დაზღვევის პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლეა ევროპაში და 9 თვეს გულისხმობს.⁵⁹

4.4 სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსება - საქართველო

სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების პოლიტიკა გულისხმობს, რომ მშობლებსა და ზრუნვაზე პასუხისმგებლობის მქონე სხვა პირებს, ჰქონდეთ შესაძლებლობა უკეთ დააბალანსონ სამუშაო და ოჯახური ცხოვრება და ამასთან, მშობლებმა თანაბრად გადაინაწილონ ზრუნვის პასუხისმგებლობები.

2022 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებისთვის მხოლოდ 35.4 პროცენტია, 58.5 პროცენტი კი სამუშაო ძალის გარეთ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი შრომის ბაზარზე ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან.⁶⁰ საგულისხმოა, რომ დასაქმებული ქალების 45% არაფორმალურ სექტორში საქმიანობს, ვინც, როგორც წესი, რჩება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დაცვის

⁵⁸ ესტონეთის სახელმწიფო საინფორმაციო პორტალი მოქალაქეებისთვის. ხელმისაწვდომია: <https://www.eesti.ee/en/work-and-labor-relations/unemployment-or-seeking-employment/unemployed-and-jobseeker>

⁵⁹ლიეტუვის სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის სამინისტროს ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://socmin.lrv.lt/en/activities/social-insurance-1/social-insurance-benefits/unemployment-social-insurance/> [ბოლოს ნანახია: 03.08.2024].

⁶⁰საქსტატი. (2023). ქალი და კაცი საქართველოში.

ინსტრუმენტების მიღმა, რაც ზრდის მათ მოწყვლადობასა და ექსპლოატაციის რისკს, ზღუდავს სამართლიანი ანაზღაურების მიღებისა და დაგროვებითი საპენსიო სისტემით სარგებლობის შესაძლებლობას.

მზრუნველობითი პასუხისმგებლობები ძირითადი ფაქტორია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ქალების მონაწილეობაზე დასაქმების როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სექტორში. საქართველოში დროის გამოყენების კვლევის მიხედვით, საოჯახო საქმეებზე ქალების მიერ დახარჯული დროის წილი 5-ჯერ აღემატება კაცების შესაბამის მაჩვენებელს. ეს რიცხვი განსაკუთრებით მაღალია 24-44 წლის ქალების შემთხვევაში,⁶¹ როცა ისინი რეპროდუქციის და, ამასთან, პროფესიული ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვან პერიოდში არიან.

ამასთან, თვისებრივი კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში ეკონომიკური მახასიათებლების ცვლილებების ფონზე, ქალები აქტიურად ერთვებიან შრომის ბაზარზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ოჯახის მარჩენალის როლი ექსკლუზიურად კაცს აღარ ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, ტრადიციული გენდერული როლების ზეგავლენით, კაცები არ ითავსებენ საოჯახო საქმეების შესრულებას და ოჯახში გადაწყვეტილებების მიმღებებიც ისინი არიან.⁶¹ ამასთან, შრომის ბაზარზე ქალების აქტიური მონაწილეობის მიუხედავად, სამუშაო ადგილზე ისინი მრავალი უთანასწორობის წინაშე არიან, მათ შორის ანაზღაურების ნაწილშიც. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიხედვით (2020), ნედლი გენდერული სახელფასო სხვაობა 17.7% ით არის შეფასებული, რაც მაღალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე (12,7%).⁶²

სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსებაზე საუბრისას, პირველ რიგში საგულისხმოა **დეკრეტული შვებულების საკითხი**. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში გარკვეული პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა დეკრეტული შვებულების მიმართულებით, რითიც დაუახლოვდა ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ პრინციპებს. კერძოდ, შვებულება გაიყო ორ ნაწილად: ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება, რომლის ადრესატი ქალია, და შვებულება ბავშვის მოვლის გამო, რომლითაც სარგებლობა შეუძლია ბავშვის ორივე მშობელს. მიუხედავად საკანონმდებლო რეფორმისა, გამოწვევად რჩება კერძო სექტორში დასაქმებულების ფინანსური გარანტიების არასათანადოობა.

შრომის კოდექსით, ორსულობისა და მშობიარობის გამო, კერძო სექტორში დასაქმებულ ქალს შეუძლია, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით 126 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპების შობის შემთხვევაში – 143 კალენდარული დღის ოდენობით. ჩანაწერის მიუხედავად, დამსაქმებლებს არ აქვთ ვალდებულება, დასაქმებულს შეუნარჩუნონ სახელფასო ანაზღაურება ანაზღაურებადი

⁶¹ UNDP და UNFPA. (2020). კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება. გვ. 31-32

⁶² UN Women. (2020). გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე.

დეკრეტული შვებულების პერიოდში. დასაქმებულები, ნაცვლად სარგოს სრულად მიღებისა, იღებენ ერთჯერად ანაზღაურებას 2 000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან.⁶³ დეკრეტული შვებულების გარანტიები გაცილებით მყარი და უკეთესია საჯარო სამსახურში დასაქმებული ქალების შემთხვევაში – საჯარო მოხელე ქალებისათვის დეკრეტული შვებულება სრულად ანაზღაურებადია დეკრეტული შვებულების 6 თვის განმავლობაში, ამასთან, მათ აქვთ დამატებითი ერთწლიანი შვებულებით სარგებლობის უფლება და სამსახურის შენარჩუნებისა და დაბრუნების გარანტია.⁶⁴

რაც შეეხება მამებისათვის დეკრეტული შვებულებით სარგებლობას, შრომის კოდექსის მიხედვით, შვებულება ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადია 57 კალენდარული დღე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება გამოიყენოს ბავშვის დედამ ან მამამ. აღნიშნულ ჩანაწერს თანასწორობის მიზანთან ერთად, ზრუნვის შრომაში კაცების შემოყვანაც აქვს განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვან პოზიტიურ ეფექტს ქმნის ოჯახისთვის, თუმცა ამ ეტაპზე ის მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც პრაქტიკაში დაბალია მამების მიერ ბავშვის მოვლის შვებულებით სარგებლობის შემთხვევები და საერთო რაოდენობის 1%-ს არ აღწევს.⁶⁵

შრომის კოდექსი ასევე ითვალისწინებს შვებულებას ახალშობილის შვილად აყვანის გამო (ანაზღაურებადი 90 კალენდარული დღე)⁶⁶ და დამატებით შვებულებას ბავშვის მოვლის გამო, რომელიც შეიძლება მიეცეს როგორც მშობელს ასევე იმ დასაქმებულს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს. კერძოდ, დასაქმებულს თავისი თხოვნის საფუძველზე, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ბავშვის მოვლის გამო დამატებითი, ანაზღაურების გარეშე შვებულება 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.⁶⁷ იმ დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და 1 წლამდე ბავშვს კვებავს, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისთვის სამუშაო დღის განმავლობაში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისთვის შესვენება სამუშაო დროში ითვლება და ანაზღაურდება.⁶⁸

სახელმწიფოს მხრიდან ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის საჭიროება განსაკუთრებით მაშინ ჩნდება, როდესაც ოჯახები უმუშევრად და შემოსავლის გარეშე რჩებიან. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში უმუშევრად დარჩენილთათვის სოციალური დაცვის გარანტიები უმუშევრობის შემწეობის ან დაზღვევის სახით არ არსებობს. სოციალური დაცვის სისტემა უმუშევარ ადამიანს და მათ ოჯახებს, საკუთარი თავის იმედად ტოვებს სამუშაოს ძებნის პერიოდში და ვერ ხედავს მანამ, სანამ ისინი სიღარიბის ზღვარს მიღმა არ აღმოჩნდებიან. უმუშევრობის დაზღვევის სისტემის შექმნის რეალური პერსპექტივა ჩანდა 2021 წელს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ახალი სოციალური კოდექსის მიღების დაინიცირებით.⁶⁹ ამასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO), საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით, მოამზადა

⁶³ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 იანვრის დადგენილება N33, მუხლი 1.

⁶⁴ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 64(4).

⁶⁵ ჩაჩავა, მ. & გვიშანი, ლ. 2023. ზრუნვა სოციალური დაცვის სისტემაში - სასიცოცხლო ციკლის პერსპექტივა. გვ. 39-40.

⁶⁶ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 38.

⁶⁷ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 40.

⁶⁸ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 24(6).

⁶⁹ ნეტგაზეთი. 2021. საქართველოს სოციალური კოდექსი - რა ვიცით რეფორმაზე.

ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4a3zM7g>

დოკუმენტი, რომელიც განიხილავს უმუშევრობის დაზღვევის იმ სამ მოდელს, რომლებიც შეიძლება, დაინერგოს საქართველოში,⁷⁰ თუმცა, დღეს ეს საკითხი აქტიურ დღის წესრიგში აღარ დგას.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება, სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან ის ერთი მხრივ ქმნის საფუძველს ბავშვის შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის, მეორე მხრივ კი, ზრდის დედების (მშობლების) შანსს, ჩაერთონ შემოსავალზე ორიენტირებულ თუ საგანმანათლებლო აქტივობებში.

საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს სისტემის რეფორმირებას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე დაფუძნებული და ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის. სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მომსახურების დანერგვა ცალკეული მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობაში შედის. კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნა, რომელიც უფასო აღზრდის და განათლების პარალელურად, მოიცავს კვების უზრუნველყოფის პრინციპს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისი არის ნებაყოფლობითი და ვრცელდება ბავშვებზე 2-6 წლის ასაკამდე.⁷¹

მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული, ადამიანური თუ მატერიალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან სერვისის მიწოდების ხარისხი. ბავშვთა კეთილდღეობის კვლევა (2023) აჩვენებს, რომ დიდი განსხვავებაა ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებს შორის.

ქალაქის ტიპის დასახლებებში, ბავშვების 79,4% დადის სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში, ხოლო შესაბამისი მაჩვენებლები სოფლად არის 62.8%, რაც საგრძნობლად დაბალია ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე (92.7%).¹ ამასთან, გაეროს ბავშვთა ფონდის 2018 წლის მონაცემებით, ჩარიცხვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებში (33%) და სოციალურად დაუცველ ბავშვებში (39,7%).¹

ბოლო წლებში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ბავშვის რაოდენობა მცირედით [გაიზარდა](#). 2017-2018 წლებში, ყველა ასეთ მუნიციპალიტეტში ერთად, 188 ბავშვი ფუნქციონირებდა, 2021-2022 წელს ეს რაოდენობა [203-მდეა](#).⁷² მიუხედავად იმისა, რომ ქალაქებში ჩარიცხვის მაჩვენებელი მაღალია, თითო ჯგუფში ბავშვების რაოდენობა 40-დან 60-მდეა. ჯგუფებში ბავშვების დიდი რაოდენობა კი

⁷⁰ ILO. 2023. Strengthening Social Protection for Workers in Georgia.

⁷¹ საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ.

⁷² საქართველოს პარლამენტი. 2022. ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლა. გვ. 26.

უარყოფითად აისახება საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე.⁷³ არსებულ საბავშვო ბაღებში ხშირად შეიმჩნევა დაწესებულების დაზიანებული ინფრასტრუქტურა, არასათანადო ინვენტარი, დაბინძურებული ჰაერი და წყალი.⁷⁴ ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია შშმ ბავშვებთან მიმართებით, რადგანაც ბაღების უმრავლესობა ვერ უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ფიზიკურ ხელმისაწვდომობასაც კი. ჯგუფებში ბავშვების სიმრავლე და პერსონალის დაბალი ცოდნა და კომპეტენცია ინკლუზიის საკითხებთან დაკავშირებით კი, შშმ ბავშვებისთვის ართულებს სკოლამდელი განათლების მიღების შესაძლებლობას.⁷⁵

აღსანიშნავია, რომ ოჯახის წინაშე არსებული გამოწვევები განსაკუთრებით მწვავედ დგას მარტოხელა დედებისთვის, ვისაც ბავშვის ძირითადი საჭიროებების დამოუკიდებლად დაკმაყოფილება უწევს - ჯანდაცვით, საკვებით, ტანსაცმელი, სკოლის ნივთებით უზრუნველყოფა. ამასთან, სკოლამდელი განათლების არსებული სისტემის გათვალისწინებით, მარტოხელა დედებისთვის პრობლემურია სამუშაო ადგილისა და მცირეწლოვან ბავშვზე ზრუნვის შეთავსებაც.⁷⁶ საგულისხმოა, რომ შშმ ბავშვების მარტოხელა დედებს დამატებით უამრავი ფინანსური და სოციალური დაბრკოლება აქვთ – ბავშვებს მუდმივი ზრუნვა და სამედიცინო მომსახურება სჭირდება, თავად დედებს – სპეციფიკური ცოდნა, რომელიც თვითონ უნდა მოიძიონ და შეიძინონ.⁷⁷

გასათვალისწინებელია, 2022 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, გაფართოვდა მარტოხელა მშობლის სტატუსთა წრე. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია კანონი, რომლის მიხედვითაც პირის მიერ მარტოხელა მშობლის სტატუსის მიღების შესაძლებლობა შეუძლებელი იყო, იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში შეტანილი იყო ჩანაწერი მისი მეორე მშობლის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლომ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების არსებითად თანასწორ პირებად მიიჩნია ფაქტობრივად მარტოხელა მშობლები, რომლებიც ასევე მარტო ზრდიან არასრულწლოვან შვილს და, ამავდროულად, მეორე მშობელი გარდაცვლილია, გამოცხადებულია გარდაცვლილად, აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ჩამორთმეული აქვს მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.⁷⁸ სამწუხაროდ, აღნიშული ცვლილებების პარალელურად, მარტოხელა მშობლებისთვის დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმები არ შექმნილა, მათთვის ერთადერთი არსებული შეღავათია საშემოსავლო გადასახადიდან

⁷³ გაეროს ბავშვთა ფონდი. 2018. საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა, გვ. 6.

⁷⁴ WECF Georgia & NCDC, შენობის შიდა ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის გამოწვევები საქართველოში: საბავშვო ბაღებში შენობის შიდა ჰაერის დაბინძურების შუალედური ანგარიში;

საქართველოს სახალხო დამცველი. 2020. სპეციალური ანგარიში: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები, გვ. 6-12.

⁷⁵ საქართველოს სახალხო დამცველი

⁷⁶ ვერულაშვილი, თ. 2021. მარტოხელა დედობის საფასური. ხელმისაწვდომია: <https://feminism-boell.org/ka/2021/11/08/martokhela-dedobis-sapasuri>

⁷⁷ გოგბერაშვილი ა., & კარაპეტიანი გ., 2019. შშმ ბავშვების დედების საჭიროებები თბილისსა და რეგიონებში.

⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1/6/1320 გადაწყვეტილება საქმეზე „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გათავისუფლება კალენდარული წლის განმავლობაში 3,000-ლარიან შემოსავალზე⁷⁹, რასაც უფრო სიმბოლური ხასიათი აქვს და რეალური მხარდაჭერა არ შეუძლია. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მართლაც დედობის სტატუსით მიღებული სარგებელი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ქალებს ხშირად სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო ბრძოლის დაწყება არც კი უღირთ.

რამდენადაც, ქალებს აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომისა და საოჯახო საქმის არაპროპორციულად მძიმე ტვირთი აწევთ, მნიშვნელოვანია, დედებისთვის შვილის ყოლა არ ასოცირდებოდეს დაკარგულ სამსახურთან ან საცხოვრებელი პირობების გართულებასთან. სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა იყოს ოჯახის მხარდაჭერა სათანადო შრომითი პირობების შექმნის, ზრუნვის შრომისა და საოჯახო საქმის თანაბრად გადანაწილების გზით, რათა მშობლებმა მოახერხონ სამუშაოსა და ოჯახის საქმეების თანაბრად შეთავსება და უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისათვის შესაბამისი დროის ოჯახისათვის გამოთავისუფლება. ეს ერთი მხრივ გააუმჯობესებს შრომით უფლებებსა და სოციალური დაცვის გარანტიებს, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყობს არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5. დასკვნა

წინამდებარე დოკუმენტი ევროკავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების - ესტონეთისა და ლიეტუვას მიერ შემუშავებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მიმოხილვის საფუძველზე, შეისწავლის საქართველოში ბავშვიანი ოჯახების კეთილდღეობისთვის არსებულ სისტემებს და მექანიზმებს. ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური მიდგომების გათვალისწინებით, მიმოხილვისას დოკუმენტი ეყრდნობა სოციალური უფლებების ევროპული სვეტის პრინციპებს: (1) ბავშვზე ზრუნვა და მხარდაჭერა (2) სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერის მიმართულებით. კერძოდ, რიგი ცვლილებები განხორციელდა შრომის კოდექსში, გაიზარდა სოციალური პროგრამების დაფინანსება და ფულადი გასაცემლების ოდენობა, შემუშავდა ბავშვის უფლებათა კოდექსი და სხვ., თუმცა ოჯახების მხარდაჭერა, კვლავაც წინასაარჩევნო პოლიტიკური პოპულიზმის ნაწილად რჩება, რომელიც პრაქტიკაში არასისტემური მიდგომით ხასიათდება, სრულიად დაცლილია გენდერული სამართლიანობისგან, და ეფუძნება ფულადი გასაცემლის სისტემას, რომელიც ძირითადად გამიზნულია სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე და არ ითვალისწინებს პრევენციულ ჩართულობას.

წინამდებარე დოკუმენტი აჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში იცვლება როგორც ოჯახის სტრუქტურა, ასევე საზოგადოების ცნობიერება და დამოკიდებულებები ოჯახის ინსტიტუტის მიმართ. თუმცა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსად, საქართველოში ეს ცვლილებები არ აისახება ამ საკითხის სამართლებრივ რეგულირებაზე. პირიქით, არსებული სამართლებრივი რეგულაციები ოჯახის სიწმინდის დაცვის სახელით, უფრო და

⁷⁹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 82.2(ა.გ).

უფრო შორდება კონვენციით დაცულ თანასწორობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის პრინციპებს.

საქართველოში დღემდე ოჯახების დაცვის მთავარი ინსტრუმენტი, სოციალური შემწეობის სახით არსებული მინიმალური ოდენობის ფულადი გასაცემელია, რომელიც სუსტი დაფარვისა და არაქმედითი ხასიათის გამო, ვერ უზრუნველყოფს ოჯახების და ბავშვებისთვის უსაფრთხო ცხოვრების პირობების შექმნას.

საარსებო შემწეობის მიღმა დარჩენილი ბავშვების/ოჯახების დიდი რაოდენობა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სიღარიბის მონეტარული საზომები არ არის საკმარისი ბავშვიანი ოჯახების მრავალგანზომილებიანი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების სრულად გასაგებად და აუცილებელია უფრო ყოვლისმომცველი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც მხედველობაში მიიღებს ყველა იმ დანაკლისს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებასა და ცხოვრების სამომავლო შესაძლებლობებზე.

ოჯახების მხარდაჭერის კარგი პრაქტიკები აჩვენებს, რომ გარდა ეკონომიკური და რეპროდუქციული ურთიერთობებისა, ოჯახის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი კომპონენტია მისი მზრუნველობითი პასუხისმგებლობები, რომლის შესრულება დამკვიდრებული გენდერული სტარეოტიპებისა და მოლოდინების გათვალისწინებით, ექსკლუზიურად მიეწერება ქალს.

შესაბამისად, ფულად გასაცემელთან ერთად, მნიშვნელოვანია ისეთი სერვისების მხარდაჭერა, რომლებიც მშობლებსა და ზრუნვაზე პასუხისმგებლობის მქონე სხვა პირებს, მისცემს შესაძლებლობას უკეთ დააბალანსონ სამუშაო და ოჯახური ცხოვრება და ამასთან, ხელს შეუწყობს ზრუნვის პასუხისმგებლობების თანაბარ გადანაწილებას.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია ოჯახების მხარდაჭერა დეკრეტული შვებულების, დროებითი და ხანგრძლივი უმუშევრობის დროს. ასევე, ბავშვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა, რამდენადაც ის ერთი მხრივ ქმნის საფუძველს ბავშვის შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის, მეორე მხრივ კი, დედეებს (მშობლებს) უზრდის შესაძლებლობას, ჩაერთონ შემოსავალზე ორიენტირებულ თუ საგანმანათლებლო აქტივობებში.

ოჯახისა და სამუშაოს შეთავსების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების უფლებას ორივე მშობლისათვის. აღნიშნული შვებულების პერიოდის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია ევროკავშირის სტანდარტებთან, თუმცა აუცილებელი ფინანსური გარანტიები მხოლოდ საჯარო სექტორში დასაქმებულებზე ვრცელდება და მხარდაჭერის მინიმალურ ოდენობას ითვალისწინებს კერძო სექტორში დასაქმებულებისთვის, ხოლო არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ ქალებს საერთოდ მხარდაჭერის მიღმა ტოვებს. ამასთან, დეკრეტული შვებულების

მოწესრიგების არსებული მოდელი შეუძლებელს ხდის კაცების ჩართვას ზრუნვის შრომაში და ბავშვზე ზრუნვის მთავარი ტვირთი კვლავ ქალებზე ნაწილდება.

დეკრეტული შევსებულების გარანტიების აღნიშნული სისუსტეები ქალებს აიძულებს სამსახურსა და შვილის მიმართ ზრუნვის პასუხისმგებლობებს შორის არჩევანი გააკეთონ. ეს განსაკუთრებით მძიმედ ორ წლამდე ასაკის ბავშვების დედეებს ეხებათ, რამდენადაც სახელმწიფო მათ საერთოდ არ სთავაზობს ზრუნვის სერვისებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისი ვრცელდება 2-6 წლის ბავშვებზე, ქვეყანაში არ არსებობს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა.

სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სერვისის მიწოდების ხარისხი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ სად იზრდება ბავშვი, რაც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივ პრინციპებს, მათ შორის, ევროპული სვეტის მე-11 პრინციპს, რომელიც ადრეული განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობის აუცილებლობას მოიცავს.

რა თქმა უნდა, ფინანსური რესურსები მნიშვნელოვანია სრულყოფილი სერვისების შექმნისთვის და მდიდარი სახელმწიფოები გაცილებით წარმატებით ასრულებენ ბავშვებზე და ოჯახებზე ზრუნვის პასუხისმგებლობებს, ვიდრე ღარიბები.

თუმცა, ცხადია, რომ საქართველოში, ოჯახზე ზრუნვის სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებაზე უფრო მეტად, მნიშვნელოვანია ამ საკითხის პოლიტიკური ღირებულება. იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფომ დაინახოს რეალური გამოწვევები, გაიზიაროს ოჯახების მხარდაჭერის ევროკავშირის მიერ აღიარებული სტანდარტები და შექმნას დაცვის ერთიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს და გაითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესს, დღეს, ოჯახზე და ბავშვზე ზრუნვის თემა წინასაარჩევნო მანიპულაციების ნაწილია, როგორც ერთ-ერთი ანტი-ლიბერალური და ანტი-ევროპული ნარატივი.

ოჯახების წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე, საპარლამენტო უმრავლესობის ეს მიდგომა, მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება და რისკის წინაშე აყენებს როგორც ცალკეული ოჯახების კეთილდღეობას, ისე ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას.

ბოლოს, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ევროკავშირის კანონმდებლობასთან, პოლიტიკასთან და პრაქტიკებთან დაახლოება ხორციელდებოდა არა ევროკავშირის მხრიდან დადებითი შეფასების მისაღებად, არამედ საკუთარი კეთილდღეობისთვის. ამ პროცესში ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯების ანალიზი კი, მხოლოდ დამხმარე

ინსტრუმენტია ხარვეზების იდენტიფიცირებისა და რეფორმების განხორციელების სწორი დაგეგმვისთვის.

რეკომენდაციები:

- ოჯახის მხარდაჭერის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით, შეიქმნას ოჯახზე ზრუნვის სისტემური პოლიტიკა და ერთიანი პრაქტიკა, რომელიც გასცდება პოლიტიკურ პოპულიზმს, დაეფუძნება რეალურ გამოწვევებს და გაითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესს, თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს.
- შესწავლილ იქნეს ბავშვიანი ოჯახების მრავალგანზომილებიანი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები და მონაცემებზე დაყრდნობით გადაიხედოს ან/და განახლდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სიღარიბის მონეტარული საზომები. ამასთან, პოლიტიკურ დღის წესრიგში შემოვიდეს ბავშვების ფულადი დახმარების საყოველთაოობის, დეკრეტული შვებულების სრულად ანაზღაურების და უმუშევრობის მხარდამჭერი სერვისების შემუშავების საკითხები, ის რაც ოჯახების გრძელვადიან კეთილდღეობას უზრუნველყოფს.
- იდენტიფიცირებული და სათანადოდ აღიარებული იქნეს ოჯახების და განსაკუთრებით ქალების ზრუნვის შრომის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა სოციალური დაცვის სისტემაში და ფულად გადარიცხვებთან ერთად, მხარდაჭერის პროგრამებში გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის აუცილებელი ინსტრუმენტები, მათ შორის, ინსტიტუციური ზრუნვა, დეკრეტული შვებულება, სამუშაო და ოჯახური ცხოვრების ბალანსი, შინშრომის თანაბრად გადანაწილება.
- განვითარდეს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომელშიც ასახული იქნება არა მხოლოდ ფინანსური დახმარების საკითხები, არამედ ოჯახის მხარდაჭერის სხვა ზომებიც (საგადასახადო და კომუნალური შეღავათები, ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებული პაკეტი, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებით ხარჯების თანადაფინანსება და სხვა).
- განვითარდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე და უნარებზე მორგებული, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ადრეული განათლების სერვისის მიწოდება, რომელიც, გაითვალისწინებს დეკრეტული შვებულების არსებულ პოლიტიკას და მშობლის (დედის) სამუშაო გრაფიკს.